

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

აკრილი
2022



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები:

ნორბერტო პინიატი

უფროსი ეკონომისტი



n.pignatti@iset.ge

გურამ ლობჯანიძე

მკვლევარი



guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე

მკვლევარი



erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის გამომუშავება წლიურად 36%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 4%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 10%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურად – 14%-ით შემცირდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 39 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც აპრილის თვის სრული წარმოების 3%-ია.
- წლიური იმპორტი 73%-ით შემცირდა.
- იმპორტი მთავარი პარტნიორი ქვეყანა რუსეთი იყო.
- რუსეთიდან იმპორტის ფასი ერთ კილოვატსაათზე 18.48 თეთრია, რაც საკმაოდ მკვეთრ ზრდას წარმოადგენს, როგორც წლიურ (40-ჯერ გაიზარდა), ასევე თვიურ (2.5-ჯერ გაიზარდა) ჭრილში. ეს ზრდა დაკავშირებულია 2021 წლის აპრილსა და 2022 წლის მარტში არსებული ძალიან დაბალი ფასებით.
- შედეგად, იმპორტის საშუალო შენონილი ფასი ლარში წლიურად 218%-ით, ხოლო თვიურად – 129%-ით გაიზარდა.
- 2022 წლის აპრილში საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპორტი საკმაოდ მცირე იყო.
- ექსპორტის საშუალო შენონილი ფასი 10.18 თეთრი იყო.
- 2022 წლის აპრილში, საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზედიზედ მეოთხედ ჩამოცდა და 1468-ს მიაღწია. ეს უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე 2021 წლის აპრილში ინდექსის მნიშვნელობა (706) და უფრო დაბალი იყო 2022 წლის მარტის (1499) მნიშვნელობებთან შედარებით.
- საქართველოს ელექტროენერგიის მოხმარების ბაზრის HHI მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2020 წლის სექტემბერი (ინდექსის მნიშვნელობა – 2522) ბოლო თვე იყო, რომლის განმავლობაშიც ინდექსის მნიშვნელობა მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა. მას შემდეგ ინდექსის ტრენდი მუდმილად დადებითი გახდა და 2022 წლის აპრილში ინდექსის მნიშვნელობამ 1777 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეკ ჯორჯია	ეკ ჯორჯია მინერალური


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის აპრილში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1125 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 36%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წლის აპრილში სრული წარმოება 825 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების ყოველწლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (44%) გაზრდილმა გამომუშავებამ განაპირობა, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (46%) და ქარის ელექტროსადგურების (6%) გამომუშავება შემცირდა.

თვითური გამოთვლებით, წარმოება, დაახლოებით, 4%-ით გაიზარდა (2022 წლის მარტში სრული წარმოება 1077 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვითური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (90%) წარმოების ზრდამ გამოიწვია, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (93%) და ქარის ელექტროსადგურების (9%) წარმოება შემცირდა.

ელექტროენერგიის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1156 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (10%-ით მეტი 2021 წლის აპრილთან შედარებით და 14%-ით ნაკლები 2022 წლის მარტთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის აპრილში ენერგიის მოხმარებამ წარმოებას 30 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 3%-ს შეადგენდა (2021 წლის აპრილში მოხმარებასა და წარმოებას შორის სხვაობამ 224 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 27%-ს გაუტოლდა).

დიაგრამა 1 - ელექტროენერგიის მოხმარება და გამომუშავება




წყარო: ESCO


წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2022 წლის აპრილში ჰესების მიერ ელექტროენერგიის წარმოება 1084 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 96%),

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

თბოელექტროსადგურების (თესების) წარმოება – 35 მილიონ კილოვატსაათს, ხოლო ქარის ენერგიის წარმოება – 6 მილიონ კილოვატსაათს (სრული გამომუშავების 3% და 1%, შესაბამისად) (დიაგრამა 2).




ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერგიის 37% გამოიმუშავეს (396 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, – 53% (572 მილიონი კილოვატსაათი) და 10% (116 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

თბოელექტროსადგურებიდან მტკვრის თესმა 11 მილიონი კილოვატსაათის ენერგია გამოიმუშავა, რაც სრული თბოელექტროენერგიის 31%-ს და სრულად წარმოებული ენერგიის 1%-ს უდრის. გარდაბანი 1-მა 13 მილიონი კილოვატსაათის ენერგია გამოიმუშავა – სრული თბოელექტროენერგიის 37% და სრულად წარმოებული ენერგიის 1%, ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 11 მილიონი კილოვატსაათი ენერგია – სრული თბოელექტროენერგიის 33% და სრულად წარმოებული ენერგიის 1%. (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ESCO

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერგიას, ვარდნილჰესმა 57 მილიონი კილოვატსაათი ენერგია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერგიის 14% და სრული წარმოების 5%). ენგურჰესმა 253 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერგიის 64%-ს და სრული წარმოების 23%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში




წყარო: ESCO

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის აპრილთან შედარებით 36%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ESCO


ელექტროენერგიის მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (28% – 329 მილიონ კილოვატსაათი), აფხაზეთი (23% – 264 მილიონ კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (19% – 217 მილიონ კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (30% – 344 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). წლიური მოთხოვნა აფხაზეთისგან (12%), თელასისა (4%) და პირდაპირი მომხმარებლებისგან (38%) გაიზარდა, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიასგან (-7%) - შემცირდა. საერთო ჯამში, 2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის მოხმარებამ წლიურად 10%-ით გადააჭარბა 2021 წლის აპრილის მოხმარებას (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ელექტროენერგიის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით


¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა. 2021 წლის ივლისიდან კი ელექტროენერგიის მიწოდებაზე ეპ ჯორჯიას პასუხისმგებელი.

² 2021 წლის ივლისიდან ელექტროენერგიის მიწოდებაზე პასუხისმგებელია თელმიკო.

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა




დიაგრამა 8 - ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა (% წ/წ)



2022 წლის აპრილში საქართველომ 71 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელა (2021 წლის აპრილის 260 მილიონ კილოვატსაათთან შედარებით). ელექტროენერგიის 99% რუსეთიდან იქნა იმპორტირებული, 1% კი – აზერბაიჯანიდან (დიაგრამა 9). 2022 წლის აპრილში საქართველომ 1 მილიონ კილოვატსაათზე ნაკლები ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელა, საიდანაც 60% თურქეთში გავიდა, 34% აზერბაიჯანში, ხოლო 6% რუსეთში (2021 წლის აპრილში ექსპორტი 5 მილიონი კილოვატსაათი იყო) (დიაგრამა 10). 2022 წლის აპრილში 86 მილიონი კილოვატსაათის ენერგიის ტრანზიტი განხორციელდა რუსეთიდან თურქეთში, და დამატებით 53 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში (2021 წლის აპრილში ტრანზიტი არ ყოფილა).

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა


2021 წლის აპრილთან შედარებით, იმპორტი 73%-ით, ხოლო ექსპორტი 96%-ით შემცირდა (ეფექტი გამოწვეულია დაბალი რიცხვებით).



წყარო: ESCO

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ESCO

2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის იმპორტი 79%-ით შემცირდა 2022 წლის მარტის მონაცემებთან შედარებით (დიაგრამა 11). ელექტროენერგიის ექსპორტი 11-ჯერ გაიზარდა (ეფექტი გამოწვეულია დაბალი რიცხვებით). საერთო სურათში ექსპორტის მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩება (დიაგრამა 12). აპრილი ზედიზედ მეექვსე თვე იყო, რომელიც გამომუშავება-მოხმარების დეფიციტით დასრულდა 6-თვიანი სიჭარბის პერიოდის შემდეგ. ოქცა, აღსანიშნავია, რომ დეფიციტი, წინა თვეებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა.

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით


ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა



წყარო: ESCO

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | გამომუშავება, მოხმარება, ვაჭრობა

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ESCO

1. საბაზრო ოპერაციები

2022 წლის აპრილში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერგიის 70% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 30% კი – საბალანსო ელექტროენერგიის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერგიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერგიის წილი



წყარო: ESCO


2022 წლის აპრილში საბალანსო ელექტროენერგიის შეწონილი საშუალო ფასი იყო 16.8 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 1%-ს შეესაბამება 2021 წლის აპრილთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო ფასს, დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის ის 13.9 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის აპრილის მონაცემებთან შედარებით 13%-იანი ზრდის ტოლფასია (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერგიის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ESCO

2022 წლის აპრილში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 16.73 მილიონი ლარი იყო, რაც წარმოადგენს 4%-იან ზრდას 2020 წლის აპრილთან შედარებით. 2021 წლის აპრილის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი (დიაგრამა 15).




Source: ESCO


2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის იმპორტის საშუალო ფასი აშშ დოლარში წლიურად 257%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 218%-ით (2021 წლის აპრილში არსებული 1.69 ცენტიდან ან 5.82 თეთრიდან კილოვატსაათზე – 6.05 ცენტამდე ან 18.52 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის აპრილში – დიაგრამა 16). იმპორტის საშუალო ფასი თვითურად აშშ დოლარში 143%-ით, ხოლო ლარში 129%-ით გაიზარდა (2022 წლის მარტში ფასი 2.50 ცენტს ან 8.09 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე). 2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის ექსპორტის ფასი წლიურად აშშ დოლარში 39%-ით შემცირდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 46%-ით (2021 წლის აპრილში არსებული 5.50 ცენტიდან ან 18.90 თეთრიდან კილოვატსაათზე – 3.33 ცენტამდე ან 10.18 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის აპრილში – დიაგრამა 16). ექსპორტის საშუალო ფასი თვითურად 802%-ით გაიზარდა აშშ დოლარში და 751%-ით ლარში (2022 წლის მარტში ფასი 0.37 ცენტს ან 1.20 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე).

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | საბაზრო ოპერაციები




2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის იმპორტის ფასი კილოვატსაათზე აზერბაიჯანიდან – 7.24 ცენტს ან 22.16 თეთრს შეადგენდა, რუსეთიდან კი – 6.04 ცენტს ან 18.48 თეთრს (დიაგრამა 17).



2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის ექსპორტის ფასი რუსეთში 3.78 ცენტს ან 11.56 თეთრს შეადგენდა, აზერბაიჯანში 6.55 ცენტს, ან 20.03 თეთრს, ხოლო თურქეთში 1.53 ცენტს, ან 4.67 თეთრს. (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | საბაზრო ოპერაციები




წყარო: ESCO/Geostat

2. ბაზრის კონცენტრაცია

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის აპრილში საქართველოს ელექტროენერგიის გამომუშავების ბაზრის ინდექსი კონცენტრირებულ და არაკონცენტრირებულ ბაზრებს შორის ზღვარს ქვემოთ დარჩა (ზედიზედ მეოთხე თვე) და HHI 1468 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2021 წლის აპრილის მონაცემზე (HHI 706 ერთეული) და 2022 წლის მარტის (HHI 1499 ერთეული) მაჩვენებლებზე მეტია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2021 წლის აპრილში ენგურჰესი სრულად არ ოპერირებდა და, შესაბამისად, ინდექსის მაჩვენებელიც ძალიან დაბალი იყო. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის აპრილში HHI მოხმარების ინდექსი მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 1777 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის აპრილის მაჩვენებელსა და 2022 წლის მარტის მაჩვენებელზე – შესაბამისად, 2130 და 1926 – დაბალი). რეალურად 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის სეგმენტში, ზოგადად, დადებითი ტენდენცია აღინიშნება (დიაგრამა 20).


დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერგიის გამომუშავებისთვის



წყარო: ESCO

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერგიის მოხმარებისთვის

ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა | საბაზრო კონცენტრაცია



წყარო: ESCO